# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის

# ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი
# ბიულეტენი

# OFFICIAL BULLETIN

## FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS


6(36)

**ბიულეტენის გამოქვეყნების თარიღი**
**THE DATE OF PUBLICATION**
2016 10 10


ბიულეტენში გამოქვეყნებულია

რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშები

# THE PUBLICATION IN THE BULLETIN

## REGISTERED NEW VARIETIES OF PLANTS

## №№135-147

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შედავება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in caseif the new breeds of animals or new varieties of plants does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

## განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა
## LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)
P – Indication of applications for plant varieties (Plant)

| | | |
|---|---|---|
| (10) | P 0000 000 A | მცენარის ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)<br>Number of published application for plant varieties (I publication) |
| (11) | P 0000 000 B | მცენარის ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)<br>Number of Certificate for plant varieties (II publication) |
| (21) | P 0000 000000 | მცენარის ჯიშის განაცხადის ნომერი<br>Serial number of application for plant varieties |

A – ცხოველის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)
A – Indication of applications for animal breeds (Animal)

| | | |
|---|---|---|
| (10) | A 0000 000 A | ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)<br>Number of published application for new animal breeds (I publication) |
| (11) | A 0000 000 B | ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)<br>Number of Certificate for new animal breeds (II publication) |
| (21) | A 0000 000000 | ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი<br>Serial number of application for new animal breeds |

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მცენარეთა ახალი ჯიშები

### რეგისტრირებული მცენარეთა ახალი ჯიშები


- ბაღის ლურჯი მოცვი „ერლიბლუ“ ... 4
- ბაღის ლურჯი მოცვი „სანრაისი“ ... 8
- ბაღის ლურჯი მოცვი „სპარტანი“ ... 13
- ბაღის ლურჯი მოცვი „ტორო“ ... 18
- ბაღის ლურჯი მოცვი „ელიზაბეტი“ ... 23
- ბაღის ლურჯი მოცვი „დიუკი“ ... 28
- ბაღის ლურჯი მოცვი „ბრიგიტა ბლუ“ ... 33
- ბაღის ლურჯი მოცვი „ბონუსი“ ... 38
- ბაღის ლურჯი მოცვი „ჩანდლერი“ ... 42
- ბაღის ლურჯი მოცვი „ბლუგოლდი“ ... 46
- ბაღის ლურჯი მოცვი „პატრიოტი“ ... 50
- ბაღის ლურჯი მოცვი „ბერკლი“ ... 55
- ბაღის ლურჯი მოცვი „ბლუკროპი“ ... 60


# C O N T E N T S

## NEW VARIETIES OF PLANTS

### REGISTERED NEW VARIETIES OF PLANTS


- BLUEBERRY "EARLY BLUE" ... 5
- BLUEBERRY "SUNRISE" ... 9
- BLUEBERRY "SPARTAN" ... 14
- BLUEBERRY "TORO" ... 19
- BLUEBERRY "ELIZABETH" ... 24
- BLUEBERRY "DUKE" ... 29
- BLUEBERRY "BRIGITTA BLUE" ... 34
- BLUEBERRY "BONUS" ... 39
- BLUEBERRY "CHANDLER" ... 43
- BLUEBERRY "BLUEGOLD" ... 47
- BLUEBERRY "PATRIOT" ... 51
- BLUEBERRY "BERKLEY" ... 56
- BLUEBERRY "BLUECROP" ... 61

# რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშები

| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 135 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 057 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 057 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი"
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** ერლიბლუ

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„ერლიბლუ" 1,2-1,8 მეტრი სიმაღლის ბუჩქია სუსტი ყლორტწარმოქმნით, რის გამოც ხშირ გასხვლას არ საჭიროებს. მისთვის ოპტიმალურია ტორფიანი ნიადაგი, ჰუმუსირებული ქვიშნარი მჟავე რეაქციით. ნიადაგის ზედა ფენა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ წყალი არ უნდა იდგეს. „ერლიბლუ" საადრეო ჯიშია, მწიფდება ივნისის ბოლოდან. მოსავლიანობა 4-7 კილოგრამია ბუჩქიდან. მისი ნაყოფი მსხვილი და საშუალო ზომისაა (დიამეტრი 13-18 მმ.), წონით 1,6-2,2 გ, მკვრივი, ღია ცისფერი მოთეთრო ნაფიფქით. მტევანი პატარაა, კენკრას მომჟავო-ტკბილი ძალიან კარგი გემო და სასიამოვნო არომატი აქვს. მწიფე ნაყოფი არ ცვივა. ჯიში ყინვაგამძლეა.

# REGISTERED NEW VARIETIES OF PLANTS

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 135 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 057 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 057 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

"VANRIK GREEN ENERGY" LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** EARLY BLUE

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

This species is 1,2-1,8 m high shrub, with week system of twig; accordingly it does not need frequent cut off. It requires optimal peat, sandy soil with acidic reaction. Great attention should be paid to irrigation. Soil upper layer must be constantly moist, but not swampy. It is an early variety and ripens from the end of June. Regular yield is 4-7 per bush. The fruit is big (13-18 mm diameter, weight 1,6-2,2 g), of average size, firm, has light blue color. The bunch is small. The fruit has sour sweet and aromatic taste. Ripe berries do not fall down and the plant itself is frost resistant.



# ჯ ი შ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**
შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** ერლიბლუ

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ**

მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში, სანერგე მეურნეობაში „იაგოდკა“. ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება in vitro მეთოდით.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით, ამ ჯიშის მცენარეები 1,2-1,8 მეტრი სიმაღლის ბუჩქებია სუსტი ყლორტწარმოქმნით, რის გამოც ხშირ გასხვლას არ საჭიროებს. საადრეო ჯიშია, მწიფდება ივნისის ბოლოდან. მოსავლიანობა 4-7 კილოგრამია ბუჩქიდან. ნაყოფი მსხვილი და საშუალო ზომისაა (დიამეტრი 13-18 მმ), წონით 1,6-2,2 გ, მკვრივი, ღია ცისფერი მოთეთრო ნაფიფქით. მტევანი პატარაა, კენკრას მომჟაო-ტკბილი, ძალიან კარგი გემო აქვს სასიამოვნო არომატით. მწიფე ნაყოფი არ ცვივა. ჯიში ყინვაგამძლეა.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | 1,2-1,8 მ სიმაღლის მეჩხერი ბუჩქია. |
| 5.2 | დამწიფების ვადები | საადრეო ჯიშია (მწიფდება ივნისის ბოლოდან). |
| 5.3 | ნაყოფი | ნაყოფი მსხვილია და საშუალოა (13-18 მმ დიამეტრში), ლამაზი ღია ცისფერი, მკვრივი. |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | ძალიან კარგი მომჟაო-ტკბილი გემო აქვს სასიამოვნო არომატით. |
| 5.5 | მოსავლიანობა | მოსავალი 4-7 კგ-ია ბუჩქიდან. |
| 5.6 | ნიადაგი | ოპტიმალურია ტორფიანი ნიადაგი, ჰუმუსირებული ქვიშნარი მჟავე რეაქციით. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.7 | განათებულობა | ბუჩქი არ წარმოქმნის ბევრ ყლორტს, ამიტომ ხშირ გასხვლას არ საჭიროებს. |
| 5.8 | ტენიანობა | დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მორწყვას. ნიადაგის ზედა ფენა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ წყალი არ უნდა იდგეს. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | ყინვაგამძლეა, უძლებს -27°C. |
| 5.10 | დარგვა | ბუჩქებს შორის მანძილი რიგებში 1-1,5 მეტრი უნდა იყოს, რიგთაშორისებში 3 მეტრი. სჭირდება მულჩირება. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | ყოველწლიურად შეაქვთ აზოტოვანი სასუქის საკმაოდ მაღალი დოზა, ნაკლები ფოსფორი და კალიუმი. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| პატრიოტი | მომწიფების დრო | საგვიანო | სადრეო |
| | ბუჩქის ფორმა | სწორმდგომი | მეჩხერი |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს.

7.2. ჯიში „ერლიბლუ" შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.



| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 136 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 058 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 058 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** სანრაისი

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„სანრაისის“ ჯიშის მცენარეები 1,2-1,8 მეტრი სიმაღლის ბუჩქებია სუსტი ყლორტ-წარმოქმნით, რის გამოც ბუჩქის შიდა ნაწილი კარგადაა განათებული და მცირდება გასხვლის ხარჯები. დამწიფება იწყება ივლისის მეორე დეკადიდან. მოსავლიანობა რეგულარულად მაღალია - 6-8 კგ-ია ბუჩქიდან. ნაყოფი ძალიან მსხვილი (დიამეტრი 17-20 მმ.), გამძლე და მკვრივია. ის არის ლამაზი, ღია ცისფერი, ძალიან მაღალი ხარისხის. მოსავლის აღება მაქსიმუმ სამჯერ ხდება. გემო დამაკმაყოფილებელია, უმჯობესდება გაციებისას.
„სანრაისი“ მოითხოვს ტორფიან ნიადაგს მჟავე რეაქციით. საჭიროებს მუდმივ ტენიანობას, მაგრამ ვერ იტანს დამდგარ წყალს.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 136 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 058 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 058 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY" LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT̓S LANGUAGE:** SUNRISE

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

The plants of this variety have week twig system and its height is 1,2-1,8 m, the inner part of bush is well-lit and it reduces cut off expenses. The process of ripening begins from the second decade of July. Regular high yield is 6-8 kg per bush. The fruit is very big (17-20 mm diameter), firm, fleshy, and its beautiful light blue berries are of very high quality. Crop can be harvested three times. The taste is satisfactory and after cooling becomes better.
Sunrise needs peat soil with acidic reaction. It requires permanent humidity, but is sensible to still water.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**
შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** სანრაისი

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ**მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში, სანერგე მეურნეობაში „იაგოდკა“. ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება in vitro მეთოდით.

„სანრაისი“ახალი, ნაკლებად შესწავლილი ჯიშია. დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით ამ ჯიშის მცენარეები 1,2-1,8 მეტრი სიმაღლის ბუჩქებია სუსტი ყლორტწარმოქმნით, რის გამოც ბუჩქის შიდა ნაწილი კარგადაა განათებული და მცირდება გასხვლის ხარჯები. დამწიფება იწყება ივლისის მეორე დეკადიდან. მოსავლიანობა 6-8 კგ-ია ბუჩქიდან, რეგულარულად მაღალი. ნაყოფი ძალიან მსხვილია (17-20 მმ. დიამეტრში), გამძლე და მკვრივი, ლამაზი ღია ცისფერი ნაყოფი ძალიან მაღალი ხარისხისაა. მოსავლის აღება მაქსიმუმ სამჯერ ხდება. გემო დამაკმაყოფილებელია, უმჯობესდება გაციებისას. ნაყოფის რეალიზაცია ხდება ნედლი სახით.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | 1,2-1,8 მ. სიმაღლის მეჩხერი ბუჩქია. |
| 5.2 | დამწიფების ვადები | საადრეო ჯიშია (მწიფდება ივლისის მეორე დეკადიდან). |
| 5.3 | ნაყოფი | ნაყოფი ძალიან მსხვილია (17-20 მმ. დიამეტრში), ლამაზი ღია ცისფერი, ძალიან მკვრივი და გამძლე. |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | გემო დამაკმაყოფილებელია, უმჯობესდება გაციებისას. |
| 5.5 | მოსავლიანობა | მოსავალი რეგულარულად მაღალია 6-8 კგ. ბუჩქიდან. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.6 | ნიადაგი | ოპტიმალურია ტორფიანი ნიადაგი, ჰუმუსირებული ქვიშნარი მჟავე რეაქციით. |
| 5.7 | განათებულობა | ბუჩქს სუსტი ყლორტწარმოქმნა ახასიათებს, ძალიან არ იტოტება, რაც სინათლის კარგ შეღწევას განაპირობებს და ამცირებს გასხვლის ხარჯებს. |
| 5.8 | ტენიანობა | ფესვების 80% 20 სმ-ს სიმაღლეზეა, ნიადაგის ეს ფენა კი ყველაზე მალე შრება. ამიტომ მორწყვას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. ნიადაგის ზედა ფენა მუდამ ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ დამდგარმა წყალმა შეიძლება მცენარის და-ღუპვა გამოიწვიოს. სარწყავი წყლის pH 4-5 უნდა იყოს. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | საშუალოდ ყინვაგამძლეა. |
| 5.10 | დარგვა | ბუჩქებს შორის მანძილი რიგებში 1-1,5 მეტრი უნდა იყოს, რიგთაშორისებში 3 მეტრი. დარგვისას შეაქვთ ბუჩქზე 35-40 გ. ამონიუმის სულფატი. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | ლურჯ მოცვს სხვა კენკროვნებთან შედარებით მეტი აზოტი სჭირდება, ამიტომ ყოველწლიურად შეაქვთ აზოტოვანი სასუ-ქის საკმაოდ მაღალი დოზა, ნაკლები ფოსფორი და კალიუმი. მცენარის ზრდასთან ერთად ამონიუმის სულფატის დოზასაც ზრდიან. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განაცხა-დის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| პატრიოტი | მომწიფების დრო | საგვიანო | საადრეო |
| | ბუჩქის ფორმა | სწორმდგომი | მეჩხერი |
| | მკვახე ნაყოფის ფერი | წითელი | ვარდისფერი |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს.

7.2. ჯიში „სანრაისი“ შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.



| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 137 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 059 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 059 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: სპარტანი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

„სპარტანის“ ჯიშის მცენარეები სწორმდგომია, სიმაღლით - 1,5-2 მეტრი. საგვიანო ჯიშია და დამწიფების პერიოდი აგვისტოს მეორე ნახევრიდან იწყება. საშუალო მოსავალი ბუჩქიდან 4,5-6 კილოგრამია. ნაყოფი ღია ცისფერია, მსხვილი (დიამეტ-რი 16- 18 მმ.), მაგრამ მესამედ მოკრეფისას უფრო წვრილი ხდება. აქვს ძალიან კარ-გი არომატი და სასიამოვნო მომჟავო გემო.

„სპარტანი“ მოითხოვს მსუბუქ, ტენიან და მჟავე ნიადაგს (pH 3,5-4,5). არ სჭირ-დება ხშირი მორწყვა, რადგან ვერ იტანს ჭარბტენიანობას.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 137 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 059 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 059 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY" LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT̓S LANGUAGE:** SPARTAN

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

The Spartan plants are straight; the height is 1,5-2 m. It is considered as late variety and period of ripening begins from the second decade of August. Moderate harvest per bush is 4,5-6 kg. The fruit is big (16-18 diameter), has light blue color. On the third crop, the fruit is smaller. The fruit is very aromatic and has pleasant sour taste.

Spartan requires light, acidic soil (pH 3,5-4,5). It does not need frequent watering, as it is very sensitive to high humidity.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი"

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** სპარტანი

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**

მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში, სანერგე მეურნეობაში „იაგოდკა". ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება ინ ვიტრო მეთოდით.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით ამ ჯიშის მცენარეები სწორმდგომი ბუჩქებია სიმაღლით 1,5-2 მეტრი. დამწიფების პერიოდი აგვისტოს მეორე დეკადიდან. საშუალო მოსავალი ბუჩქიდან 4,5-6 კილოგრამია. ნაყოფი ღია ცისფერია, მსხვილი (დიამეტრი 16-18 მმ.). მხოლოდ მესამედ მოკრეფისას ნაყოფი უფრო წვრილი ხდება. აქვს ძალიან კარგი არომატი და სასიამოვნო მომჟაო გემო. რეალიზაცია უმეტესად ნედლი სახით ხდება. ძალიან ლამაზი ვერტიკალურად მზარდი ბუჩქია.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები:**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | სწორმდგომი, ვერტიკალურად მზარდი, ძალიან ლამაზი ბუჩქია სიმაღლით 1,5-2 მ. |
| 5.2 | დამწიფების ვადები | საგვიანო ჯიშია (მწიფდება აგვისტოს მეორე დეკადიდან). |
| 5.3 | ნაყოფი | ნაყოფი მსხვილია (1,5 - 1,8 სმ.), ოდნავ შებრტყელებული, ლურჯი მოთეთრო ნაფიფქით |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | ნაყოფს ტკბილი, ოდნავ მომჟაო სასიამოვნო გემო აქვს, ძალიან კარგი არომატით. |
| 5.5 | მოსავლიანობა | ჯიში მოსავლიანია 4,5-6 კგ. ბუჩქიდან. |
| 5.6 | ნიადაგი | ოპტიმალურია მსუბუქი, ტენიანი, მაგრამ კარგად დრენაჟირებული, ორგანული ნაერთებით მდიდარი მჟავე ნიადაგები (pH 3,5 - 4,5). |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.7 | განათებულობა | კარგად იზრდება და ყვავის მზიან, ქარისაგან დაცულ ადგილებზე, ჩრდილში პრაქტიკულად არ იძლევა მოსავალს. |
| 5.8 | ტენიანობა | ტენის ნაკლებობისადმი მგრძნობიარეა, ამიტომ ცხელ და მშრალ ზაფხულში მინიმუმ ერთხელ კვირაში უნდა მოირწყოს (10-20 ლ. ბუჩქზე). ვერ იტანს ნიადაგის ჭარბტენიანობას. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | ჯიში საკმაოდ ყინვაგამძლეა. შემოდგომაზე ნორჩი ყლორტები შეიძლება ყინვამ დააზიანოს. |
| 5.10 | დარგვა | დარგვისას აუცილებელია შეტანილი იქნას ნიადაგის ნარევი, რომელიც შედგება მჟავე ტორფის, წიწვოვანთა ნახერხისა და ფოთლოვანი ნეშომპალისაგან. დარგვის შემდეგ აკეთებენ ნიადაგის მულჩირებას კედარის ქერქით, ნახერხით ან ნაჭუჭით 5-10 სმ. სიმაღლეზე. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | დამატებითი სასუქი შეაქვთ ორჯერადად: პირველად – ადრე გაზაფხულზე მცენარის ზრდის დაწყებამდე მთელი დოზის 2/3, მეორედ – ივნისში. ზოგჯერ საჭიროა მიკროელემენტების შეტანა. სხლავენ როგორც ახალგაზრდა, ისე ძველ ბუჩქებსაც. აშორებენ დაავადებულ და სუსტ ტოტებს, ჭრიან პატარა დაბუჩქულ ნაყარს, ტოვებენ 5-6 ყველაზე გრძელ და საღ ყლორტს ბუჩქის ფორმირებისათვის. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| ბლუკროპი | მომწიფების დრო | საშუალო | საგვიანო |
| | ბუჩქის ფორმა | სწორმდგომი ფართო ვარჯით | სწორმდგომი ვერტიკალური |
| | ნაყოფის გემო | ტკბილი | მომჟაო, არომატული |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ჩიტებმა აკენკონ.

7.2. ჯიში „სპარტანი“ შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.





| | |
|---|---|
| **მოწმობის ნომერი:** | P 2016 138 B |
| **განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:** | P 2013 060 A |
| **განაცხადის ნომერი:** | P 2013 060 |
| **განაცხადის წარდგენის თარიღი:** | 2013 04 01 |
| **თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:** | 2016 09 30 |
| **განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):** | 2013 07 15 №2 |
| **დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):** | 2016 10 10 №6 |

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** ტორო

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„ტოროს“ ჯიშის მცენარეები 1,8-2 მეტრი სიმაღლის კომპაქტური ბუჩქებია, რომელთა მოსავალი რეგულარულად მაღალია. ნაყოფი აგვისტოს დასაწყისში მწიფდება და არის მსხვილი, ლამაზი ფერის და კარგი გემოსი. სიმწიფის პერიოდი იწყება ჯიშ „ბლუკროპთან“ ერთად, მაგრამ მთავრდება უფრო ადრე და მოსავალი ორჯერ იკრიფება. „ტოროს“ სჭირდება მსუბუქი, ტენიანი, მაგრამ კარგად დრენაჟირებული, ორგანული ნაერთებით მდიდარი მჟავე ნიადაგი (pH 3,5-4,5). ჯიში საკმაოდ ყინვაგამძლეა.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 138 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 060 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 060 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY” LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT’S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT҆S LANGUAGE:** TORO

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

"Toro" bushes are of 1,8-2 m height and compact. It begins ripening in the first decade of August. The harvest is regularly high. The fruit is big, with beautiful appearance and pleasant taste. Ripening period begins at the same time of Bluecrop, but ends earlier. The crop is harvesting only two times.

"Toro" requires soft and humid, but well-drained soil, rich with organic compounds and acidic (pH 3,5-4,5). This variety is quite frost resistant.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** ტორო

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**

მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში სანერგე მეურნეობა „იაგოდკა“-საგან. ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება in vitro მეთოდით.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით ამ ჯიშის მცენარეები 1,8-2 მეტრი სიმაღლის კომპაქტური ბუჩქებია. ნაყოფი აგვისტოს დასაწყისში მწიფდება. მოსავალი რეგულარულად მაღალია. ნაყოფი მსხვილია, ლამაზი ფერის და კარგი გემოსი. სიმწიფის პერიოდი იწყება „ბლუკროპთან“ ერთად, მაგრამ მთავრდება უფრო ადრე და მოსავალი ორჯერ იკრიფება. ნაყოფი გამოიყენება ნედლი სახით რეალიზაციისათვის ან სამრეწველო გადამუშავებისათვის.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები:**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | 1,8-2 მეტრი სიმაღლის კომპაქტური ბუჩქია. |
| 5.2 | დამწიფების ვადები | მწიფდება აგვისტოს დასაწყისში. |
| 5.3 | ნაყოფი | ნაყოფი მსხვილია (1,5 - 1,8 სმ.), ოდნავ შებრტყელებული, ლურჯი მოთეთრო ნაფიფქით |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | ნაყოფს ტკბილი, ოდნავ მომჟაო სასიამოვნო გემო აქვს, ძალიან კარგი არომატით. |
| 5.5 | მოსავლიანობა | ჯიში მოსავლიანია 4,5-6 კგ. ბუჩქიდან. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.6 | ნიადაგი | ოპტიმალურია მსუბუქი, ტენიანი, მაგრამ კარგად დრენაჟირებული, ორგანული ნაერთებით მდიდარი მჟავე ნიადაგები (pH 3,5 - 4,5). |
| 5.7 | განათებულობა | კარგად იზრდება და ყვავის მზიან, ქარისაგან დაცულ ადგილებზე, ჩრდილში პრაქტიკულად არ იძლევა მოსავალს. |
| 5.8 | ტენიანობა | ტენის ნაკლებობისადმი მგრძნობიარეა, ამიტომ ცხელ და მშრალ ზაფხულში მინიმუმ ერთხელ კვირაში უნდა მოირწყოს (10-20 ლ. ბუჩქზე). ვერ იტანს ნიადაგის ჭარბტენიანობას. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | ჯიში საკმაოდ ყინვაგამძლეა. შემოდგომაზე ნორჩი ყლორტები შეიძლება ყინვამ დააზიანოს. |
| 5.10 | დარგვა | დარგვისას აუცილებელია შეტანილი იქნას ნიადაგის ნარევი, რომელიც შედგება მჟავე ტორფის, წიწვოვანთა ნახერხისა და ფოთლოვანი ნეშომპალისაგან. დარგვის შემდეგ აკეთებენ ნიადაგის მულჩირებას კედარის ქერქით, ნახერხით ან ნაჭუჭით 5-10 სმ. სიმაღლეზე. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | დამატებითი სასუქი შეაქვთ ორჯერადად: პირველად – ადრე გაზაფხულზე მცენარის ზრდის დაწყებამდე მთელი დოზის 2/3, მეორედ – ივნისში. ზოგჯერ საჭიროა მიკროელემენტების შეტანა. სხლავენ როგორც ახალგაზრდა, ისე ძველ ბუჩქებსაც. აშორებენ დაავადებულ და სუსტ ტოტებს, ჭრიან პატარა დაბუჩქულ ნაყარს, ტოვებენ 5-6 ყველაზე გრძელ და საღ ყლორტს ბუჩქის ფორმირებისათვის. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| ბლუკროპი | სიმწიფის პერიოდი | 2-3 კვირა | უფრო მოკლე |
| | ბუჩქის ფორმა | სწორმდგომი | კომპაქტური |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ჩიტებმა აკენკონ.

7.2. ჯიში „ტორო“ შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.



| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 139 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 061 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 061 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს „ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** ელიზაბეტი

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„ელიზაბეტის“ ჯიშის ბუჩქები არის ძლიერმზარდი , სწორმდგომი. მათი სიმაღლე, როგორც წესი, 1,6-1,8 მეტრია. ყლორტებს დამახასიათებელი მოწითალო შეფერილობა აქვს, რაც მაღალი ყინვაგამძლეობის ნიშანია. მცენარე ცუდად იზრდება სილნარში, უყვარს ნიადაგები ტორფის ზომიერი შემცველობით. მისი მოსავლიანობა მაღალია (4-6 კგ. ბუჩქიდან) და დროში ძალიან გაწელილი (რამდენიმე კვირა). მწიფდება აგვისტოს დასაწყისიდან. მტევანი მეჩხერია, ნაყოფი - ძალიან მსხვილი (დიამეტრი 20-22მმ.), მკვრივი და ტრანსპორტაბელური. კენკრა ძალიან ტკბილია და არომატული.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 139 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 061 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 061 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY” LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** ELIZABETH

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**

The bushes of this variety are fast growing and straight, usually the height is 1,6-1,8 m. The twigs are colored in red that indicates the high frost resistance of plant. Grows poorly in sandy soil, requires soil with moderate consistency of peat. Regularly high yield: 4-6 kg from a shrub, but harvesting period is long – several weeks. The fruit ripens from the beginning of August. The fruit is very big (20-22mm diameter), dense, sweet and very aromatic. It can resist long transportation.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**

შპს „ვანრიკ გრინ ენერჯი“

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** ელიზაბეტი

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**

მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში, სანერგე მეურნეობაში „იაგოდკა“. ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება in vitro მეთოდით.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით ამ ჯიშის ბუჩქები ძლიერმზარდია, სწორმდგომი, სიმაღლით, როგორც წესი, 1,6-1,8 მეტრი. ყლორტებს დამახასიათებელი მოწითალო შეფერილობა აქვს, რაც მაღალი ყინვაგამძლეობის ნიშანია. ცუდად იზრდება სილნარში, უყვარს ნიადაგები ტორფის ზომიერი შემცველობით. მოსავლიანობა მაღალია 4-6 კგ. ბუჩქიდან, დროში ძალიან გაწელილი (რამდენიმე კვირა). მწიფდება აგვისტოს დასაწყისიდან. მტევანი მეჩხერია, ნაყოფი ძალიან მსხვილი (დიამეტრი 20-22 მმ.), მკვრივი, ტრანსპორტაბელური. კენკრა ძალიან ტკბილია და არომატული.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები:**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | 1,6-1,8 მეტრი სიმაღლის სწორმდგომი, ძლიერმზარდი ბუჩქია |
| 5.2 | დამწიფების ვადები | საშუალო საგვიანო ჯიშია, მოსავლის აღების პერიოდი გრძელი აქვს – აგვისტოს დასაწყისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე |
| 5.3 | ნაყოფი | ძალიან მსხვილი მუქი ცისფერი ნაყოფი აქვს, დიამეტრში, როგორც წესი, 20-22 მმ., წონით 1,8 გ. |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | ნაყოფი ძალიან გემრიელი და არომატულია, მკვრივი. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.5 | მოსავლიანობა | მოსავლიანობა მაღალია 4-6 კგ. ბუჩქიდან |
| 5.6 | ნიადაგი | კარგად იზრდება მჟავე (pH 4,8-4,5), ორგანული სასუქით მდიდარ ნიადაგზე. |
| 5.7 | განათებულობა | იზრდება მზეზე ან ნაწილობრივ ჩრდილში. |
| 5.8 | ტენიანობა | სჭირდება საშუალო ტენიანობის ნიადაგი, წვრილი, ბოჭკოებისმაგვარი ფესვებისათვის აუცილებელია მუდმივი ტენიანობა და კარგი დრენაჟი. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | ჯიში ყინვაგამძლეა. |
| 5.10 | დარგვა | მცენარეს უყვარს კარგი ორგანული მულჩა. თუმცა მცენარე თვითდამტვერავია, ჯვარედინი დამტვერვისას უკეთესი მოსავალი მიიღება. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | დარგვისას და შემდეგ წელს სასურველია ყვავილების მოშორება, რათა ბუჩქის ზრდის სტიმულირება მოხდეს. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| ბლუკროპი | ნაყოფის ზომა (მმ.) | 18-20 | 20-22 |
| | სიმწიფის პერიოდი | ივლისის მეორე ნახევრიდან | აგვისტოს დასაწყისიდან შუა სექტემბრამდე |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ჩიტებმა აკენკონ.

7.2. ჯიში „ელიზაბეტი“ შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.



| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 140 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 062 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 062 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი"
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: დიუკი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

„დიუკის" ჯიშის მცენარეები 1,2-1,8 მ სიმაღლის ბუჩქებია სუსტი ყლორტწარმოქმნით, ამიტომ ბუჩქი ძალიან არ იტოტება, რაც სინათლის კარგ შეღწევას განაპირობებს და ამცირებს გასხვლის ხარჯებს. ნაყოფი მწიფდება ივლისის მეორე დეკადიდან. მოსავალი რეგულარულად მაღალია – 6-8 კგ. ბუჩქიდან. კენკრა ნაყოფი ძალიან მსხვილი (დიამეტრი 17-20 მმ), მკვრივი და ღია ცისფერია. მას აქვს კარგი გემო, რომელიც უმჯობესდება გაცივებისას. „დიუკის" სჭირდება ძალიან მჟავე (pH 4,0–5,0) ტორფიანი, ზომიერად ტენიანი ნიადაგი. ყვავის შედარებით გვიან, ყვავილები წაყინვებისადმი გამძლეა, ხოლო ბუჩქი – ყინვაგამძლე.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 140 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 062 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 062 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY” LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT’S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT̓S LANGUAGE:** DUKE

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**
"DUKE" is 1,2-1,8 meter height shrub. Sprouts are so weak, that shrub is not very branchy, it stipulates good light penetration and reduces trimming costs. Ripens from the second decade of July. Regularly has high yield: 6-8 kg from shrub. The fruit is very big (17-20 mm diameter), dense, light blue. It has pleasant taste, which gets better by cooling.
Needs very acidic (pH 4,0-5,0) peaty, moderately humid soil. Blooms rather later, flowers and the shrub are frost resistant.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“

გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** დიუკი

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**

მცენარეები შეძენილია ბელორუსიაში, სანერგე მეურნეობაში „იაგოდკა“. ჯიშის სასოფლო-სამეურნეო თვისებებზე, დაავადებათა და მავნებელთა მიმართ გამძლეობაზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე ფირმასთან არსებულ აგროქიმიურ და ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო ნიშან-თვისებებით გამორჩეულ მცენარეთა შერჩევა, მარკირება, მათგან ექსპლანტთა აღება და გამრავლება in vitro მეთოდით.

დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემებით ამ ჯიშის მცენარეები 1,2-1,8 მ. სიმაღლის ბუჩქებია სუსტი ყლორტწარმოქმნით, ამიტომ ბუჩქი ძალიან არ იტოტება, რაც სინათლის კარგ შეღწევას განაპირობებს და გასხვლის ხარჯები მცირდება. ნაყოფი მწიფდება ივლისის მეორე დეკადიდან. მოსავალი რეგულარულად მაღალია 6-8 კგ. ბუჩქიდან. კენკრა ნაყოფი ძალიან მსხვილია (17-20 მმ. დიამეტრში), მკვრივი, ღია ცისფერი. კარგი გემო აქვს, რომელიც უმჯობესდება გაცივებისას. რეალიზაცია წარმოებს ნედლი სახით. ყვავის შედარებით გვიან, ყვავილები წაყინვებისადმი გამძლეა, ხოლო ბუჩქი – ყინვაგამძლე.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები:**

| № | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 5.1 | ბუჩქის ფორმა და სიმაღლე | 1,2-1,8 მ. სიმაღლის ნაკლებადდატოტვილი ბუჩქია. |
| 5.2 | დამწიფების ვადები | საადრეო ჯიშია (მწიფდება ივლისის მეორე დეკადიდან). |
| 5.3 | ნაყოფი | კენკრა ნაყოფი ძალიან მსხვილია (17-20 მმ. დიამეტრში), ლამაზი ღია ცისფერი, ძალიან მკვრივი და გამძლე. |
| 5.4 | საგემოვნო თვისებები | ნაყოფს სასიამოვნო გემო აქვს, საგემოვნო თვისებები ნაყოფის გაციებისას უმჯობესდება. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| 5.5 | მოსავლიანობა | მოსავალი რეგულარულად მაღალია 6-8 კგ. ბუჩქიდან. |
| 5.6 | ნიადაგი | საჭიროა ძალიან მჟავე (pH 4,0-5,0) ტორფიანი ნიადაგი. |
| 5.7 | განათებულობა | ბუჩქი ძალიან არ იტოტება, რაც სინათლის კარგ შეღწევას განაპირობებს და გასხვლა ნაკლებად სჭირდება. |
| 5.8 | ტენიანობა | სჭირდება ზომიერად ტენიანი ნიადაგი, ვერ იტანს დამდგარ წყალს. |
| 5.9 | ყინვაგამძლეობა | ყვავის შედარებით გვიან, ყვავილები წაყინვებისადმი გამძლეა, ხოლო ბუჩქი – ყინვაგამძლე. |
| 5.10 | დარგვა | ბუჩქებს შორის მანძილი 1-2 მეტრი უნდა იყოს, დასარგავ ორმოს 50 × 50 × 50 ავსებენ ტორფით ან ტორფის, სილის, ქერქებისა და ნახერხის ნარევით. მორწყვის შემდეგ მცენარის ქვეშ უყრიან ნახერხის 10 სმ-იან ფენას და შეამჟავებენ. |
| 5.11 | მოვლა და დაცვა | სრული მინერალური სასუქი დამატებითი შეაქვთ ორჯერადად: ყვავილობის წინ და ნაყოფის გამოსკვნისას. სასურველია ბუჩქები დაცული იყოს ქარისაგან. |

## VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება:

| მსგავსი ჯიშის სახელი | ნიშანი, რომლითაც განასხვავდება ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან | ნიშნის გამოხატვის ხარისხი | |
|---|---|---|---|
| | | მსგავსი ჯიში | კანდიდატი ჯიში |
| ბლუკროპი | მომწიფების დრო | საშუალო | სადრეო |
| | ბუჩქის ფორმა | სწორმდგომი | ნაკლებად დატოტვილი |

## VII. დამატებითი ინფორმაცია:

7.1. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ მდგრადობა: მავნებლები ჩვენს ზონაში არა ჰყავს, მაგრამ შეიძლება ჩიტებმა აკენკონ.

7.2. ჯიში „დიუკი“ შეიძლება ვაწარმოოთ დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე.





| | |
|---|---|
| მოწმობის ნომერი: | P 2016 141 B |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2013 063 A |
| განაცხადის ნომერი: | P 2013 063 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2013 04 01 |
| თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება: | 2016 09 30 |
| განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია): | 2013 07 15 №2 |
| დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია): | 2016 10 10 №6 |

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

ბაღის ლურჯი მოცვი Vaccinium corymbosum

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** ბრიგიტა ბლუ

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„ბრიგიტა ბლუს“ ჯიშის მცენარეები 1,8-2 მეტრი სიმაღლის სწორმდგომი ბუჩქებია. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს მეორე ნახევრიდან. მოსავალი რეგულარულად მაღალია – 4-6 კგ. ბუჩქიდან. ნაყოფი საშუალო ზომისაა (დიამეტრი 15 მმ), ღია ცისფერი, მკვრივი, მაღალი ხარისხის და გემრიელი. შემოდის ერთდროულად, დამწიფების მერე არცვივა. ნიადაგი უნდა იყოს ნოყიერი, ტენით უზრუნველყოფილი და მჟავე. ტენის ნაკლებობისადმი ძალიან მგრძნობიარეა.

| | |
|---|---|
| **NUMBER OF CERTIFICATE**: | P 2016 141 B |
| **NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** | P 2013 063 A |
| **SERIAL NUMBER OF APPLICATION:** | P 2013 063 |
| **DATE OF FILING OF THE APPLICATION:** | 2013 04 01 |
| **DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** | 2016 09 30 |
| **DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** | 2013 07 15 №2 |
| **DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** | 2016 10 10 №6 |

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

„VANRIK GREEN ENERGY" LTD
Griboedov Street №2-a, Suite 3, 4, 6, Batumi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Blueberry Vaccinium Corymbosum L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:**
BRIJITTA BLUE

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES:**
This variety is 1,8-2 m high straight standing bush. It ripens from second half of August. Regularly has high yield: 4-6 kg from a shrub. Fruit size is average (15 mm diameter), light blue, dense, high quality, tasty. Ripens once per year and does not fall down. Soil should be fertile, humid, and acidic. It is very sensitive to lack of moisture.



# ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** ლურჯი მოცვი (ქართული სახელი) Vaccinium corymbosum (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**
შპს „ ვანრიკ გრინ ენერჯი“
გრიბოედოვის ქ. №2-ა, ბ. 3, 4, 6, ბათუმი (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** ბრიგიტა ბლუ

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**
